

# ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები პროფესიულ განათლებაში: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

*ხითარიშვილი ნინო – ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების კოორდინატორი,  
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრი, თბილისი, საქართველო*

## External Mechanisms of Quality Assurance in Vocational Education: Challenges and Prospects for Development

**Khitarishvili Nino** – Coordinator of the Quality Assurance System Development, Department of Vocational Education, National Center for Educational Quality Enhancement, Tbilisi, Georgia

### Abstract

Sustainable economic development of the country depends on the quality of vocational education. Since 2007 the government of Georgia has made significant legal and institutional changes in the education sector in order to carry out large-scale reforms. The aim was to become closer to the international standards and to increase the attractiveness. Ensuring the sustainability of the results advanced the mechanisms of vocational education. Importance of the issue is also result of association agreement which was concluded between EU and Georgia. One of the recommendations that it applies to vocational education and establishing the framework for European Training.

Challenges of Vocational Education Quality Assurance require necessity of Analysis of the country's external quality assurance mechanisms. They are the basis for authorization / accreditation of foreign Practice Research and they are focused on European countries to share best practices.

The work is dedicated to the discussion of these topics. In particular, it identifies the flaws which are characteristic of authorization / accreditation standards, also recommendations, which are aimed at the elimination of the problems and to define key features of authorization / accreditation standards which provides a quality of vocational education.

**Keywords:** quality assurance, authorization, accreditation, vocational education, education

### 1. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განახლების რაციონალი

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროფესიული განათლების ხარისხზე. 2007 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი იურიდიული და ინსტიტუციური ცვლილებები შეიტანა პროფესიული განათლების სექტორში ფართომასშტაბიანი რეფორმების განსახორციელებლად, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და სისტემის მიმზიდველობის გაზრდა დაინტერესებული მხარეებისათვის, კერძოდ, დამსაქმებლებისა და პოტენციური ბენეფიციარებისათვის.

განხორციელებული რეფორმების შედეგად შესაძლებელი გახდა პროფესიული განათლების სისტემაში სოციალური პარტნიორების როლის გააქტიურება, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტების შექმნა, საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვა ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივებით.

მიღწეული შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფამ დღის წესრიგში დააყენა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფის საკითხი. წარმოდგენილი თემა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დოკუმენტში<sup>1</sup>, სადაც ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების გადამუშავება და სრულყოფა ევროპული მიდგომების შესაბამისად.

საკითხის აქტუალურობას ასევე განაპირობებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც გაცემულ რეკომენდაციებს შორის ერთ-ერთი ეხება პროფესიული განათლებისა და ტრენინგისთვის ხარისხის უზრუნველყოფის დამოწმების ევროპული ჩარჩოს ჩამოყალიბებას.<sup>2</sup> წარმოდგენილი ჩარჩო შემუშავდა „კოპენჰაგენის პროცესის“ ფარგლებში და განისაზღვრა ევროკავშირთან თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

სტანდარტების განახლების საფუძველს წარმოადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016-2020 წწ. სტრატეგიის დოკუმენტში დეკლარირებული სტრატეგიული ორიენტირები: ინტერნაციონალიზაციის პროცესის აქტიური მხარდაჭერა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების შემდგომი განვითარება. კერძოდ, სტრატეგიაში ნათქვამია, რომ წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად უნდა განხორციელდეს „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის რევიზია. ასევე, მნიშვნელოვანია შესაბამისი ადამიანური რესურსების (ექსპერტთა კორპუსი, ცენტრის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები) და გადაწყვეტილების მიმღები ინსტიტუციების (ავტორიზაცია/აკრედიტაციის საბჭოები) თვისობრივი განვითარება“.<sup>3</sup>

სტანდარტების რევიზიის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზია მათში მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების კონტექსტის გათვალისწინება. პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში 2013-2016წწ. განმავლობაში მოქმედებდა „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ათეულობით პროფესიული სტანდარტი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი. ახალი მეთოდოლოგიით შექმნილი პროგრამები მთლიანად მიმართულია შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და ითვალისწინებს ტრანსფერული უნარების გამომუშავებას. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით შექმნილი პროგრამებისთვის აუცილებელია სპეციალური ხარისხობრივი კრიტერიუმების განსაზღვრა, რათა მოხდეს დაწესებულებათა მხრიდან მათი ეფექტური დანერგვა და პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა.

სტანდარტების განახლების რაციონალს ასევე წარმოადგენს იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რომელთა იდენტიფიცირებაც განხორციელდა სტანდარტების გამოყენების პროცესში გასული წლების მანძილზე.

## **2. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ანალიზი მათი ეფექტურობის თვალსაზრისით**

პროფესიულ განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად გარე მექანიზმებს წარმოადგენენ 2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი რეგულაციებით<sup>4</sup> განსაზღვრული და დამტკიცებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები.

<sup>1</sup> პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020

<sup>2</sup> Recommendation of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the establishment of a European Quality Assurance Reference Framework for Vocational Education and Training (2009/C 155/01).

<sup>3</sup> განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი 2016-2020 წწ. გვ. 6.

<sup>4</sup> საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წ. 4

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია „სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა“<sup>5</sup>. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები მოიცავს:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამებს;
- ბ) მატერიალურ რესურსებს;
- გ) ადამიანურ რესურსებს.

აკრედიტაციის მიზანია აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრა. აკრედიტაციის სტანდარტებია:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
- ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
- გ) მოსწავლეების/სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
- დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
- ე) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების ამოქმედებიდან დღემდე განვლილმა პერიოდმა გამოკვეთა ის პრობლემური საკითხები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოქმედი სტანდარტების ხარვეზებად. პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება განხორციელდა როგორც უშუალოდ სტანდარტების შინაარსთან მიმართებაში, ისე მათი გამოყენების პროცესშიც. შინაარსთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემური საკითხები:

- **მოქმედი სტანდარტები არ ახდენენ დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების სტიმულირებას** - ავტორიზაცია არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძლევა სწავლების განხორციელებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლება, ამის საპირისპიროდ, მოქმედი სტანდარტები თითქმის არ ითვალისწინებს დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების შეფასებასა და ხელშეწყობას.<sup>6</sup> არსებული სტანდარტების ფარგლებში ერთადერთი ქვესტანდარტი ამ მიმართულებით არის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადამოწმება, თუმცა ზოგადი მენეჯმენტის საკითხებიდან ფრაგმენტულად, მხოლოდ გეგმებზე ყურადღების გამახვილებით, ვერ მიიღწევა დაწესებულების სრულფასოვანი ინსტიტუციური განვითარება. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ „ხარისხის გარე უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი - ინსტიტუციური განვითარების სტიმულირება - საქართველოში მხოლოდ ნაწილობრივ მიიღწევა“.<sup>7</sup>
- **შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები მკაფიოდ განსაზღვრული და წინასწარ გამოქვეყნებული არ არის** - „თანასწორობისა და სანდოობის მისაღწევად, ხარისხის გარე შეფასების ნებისმიერი შედეგი უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ და გამოქვეყნებულ კრიტერიუმებს, რომელთა ინტერპრეტაციაც მოხდება ერთგვაროვნად და დაეყრდნობა სათანადო

---

მაისის ბრძანება N65/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“

<sup>5</sup> საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2.

<sup>6</sup> დარჩია ირინე „ხარისხის უზრუნველყოფა“, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, გვ. 20, თბილისი, 2013წ.

<sup>7</sup> დარჩია ირინე „ხარისხის უზრუნველყოფა“, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, გვ. 20, თბილისი, 2013წ.

მტკიცებულებებს<sup>8</sup>. საქართველოში მოქმედი ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, ჰსდ და მის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა აკმაყოფილებდნენ სტანდარტებით გაწერილ მოთხოვნებს. ამ მიზნით, აუცილებელია წინასწარ დადგინდეს, თუ რა კრიტერიუმით უნდა მოხდეს თითოეული მოთხოვნის დაკმაყოფილება და რა შესრულების ინდიკატორები უნდა არსებობდეს ამის დასადასტურებლად. მოქმედი სტანდარტებისთვის შეფასების კრიტერიუმებისა და შესრულების ინდიკატორების არარსებობა, ერთი მხრივ, ართულებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან სტანდარტების მოთხოვნების ერთგვაროვნად გაგებასა და დაკმაყოფილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხდება ექსპერტთა მხრიდან სტანდარტების ინდივიდუალური ინტერპრეტირებისა და მათი სუბიექტური/არაერთგვაროვანი შეფასების მიზეზი.

- **არსებობს გადაფარვა სტანდარტებსა და ქვესტანდარტებს შორის** - მოქმედი სტანდარტებისა და ქვესტანდარტების განხილვისას ცხადი ხდება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია განსხვავებული სტანდარტების იდენტური კრიტერიუმებით დაკმაყოფილება. მაგ: აკრედიტაციის პირველი სტანდარტის „ბ“ მოთხოვნას: „პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას“ აქვს მეორე სტანდარტის „ბ“ მოთხოვნის: „პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას“ მსგავსი მოთხოვნები<sup>9</sup>. ასევე, პირველი სტანდარტის „ა“ მოთხოვნა: „პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია“, ისევე, როგორც ამავე სტანდარტის „დ“ მოთხოვნა: „პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე“ მოითხოვს, რომ პროგრამა ორიენტირებული იყოს დასაქმების ბაზარზე<sup>10</sup>.

- **მოქმედი სტანდარტები არ ითვალისწინებს სასწავლო პროცესისა და მიღებული შედეგების შეფასებას** - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოქმედი სტანდარტებით მოწმდება მხოლოდ დაწესებულების არსებული მდგომარეობა - მისი მზაობა, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. პროცესი ძირითადად შემოიფარგლება დოკუმენტაციის შემოწმებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დადგენით. არსებული რეგულაციებით თითქმის არ ფასდება სასწავლო პროცესი და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შედეგები (ე.წ. outcome/output). ხარისხის უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია პროცესი განხილული და შეფასებული იქნას მთლიანობაში და ორიენტირება არ გაკეთდეს მხოლოდ საწყის წერტილზე.

- **ავტორიზაციის პროცესის სიხისტე** - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეიძლება არ მიენიჭოს ან გაუუქმდეს ავტორიზაცია იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ დააკმაყოფილებს ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს.<sup>11</sup> აღნიშნულის საფუძველზე, სტანდარტებისა და ქვესტანდარტების მოთხოვნებიდან მცირედი გადაცდომა (მაგ: დოკუმენტაციის წარმოების პროცესში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი და სხვ.) შეიძლება გახდეს დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. ავტორიზაცია/აკრედიტაციის ასეთი ხისტი პროცესი ერთგვარად ეწინააღმდეგება ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საუკეთესო

<sup>8</sup> უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2016 წ. გვ. 28

<sup>9</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წ. 4 მაისის ბრძანება N65/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“

<sup>10</sup> უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, გვ. 32, 2016 წ.

<sup>11</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 26)

პრაქტიკის თვალსაზრისით აღიარებულ მიდგომას „ხარისხის შეფასება უნდა იყოს მხარდაჭერი, განმავითარებელი და არა მაკონტროლებელი/სადამსჯელი“<sup>12</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პროფესიულ განათლებაში დღეს მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები სრულად ვერ ახდენენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი პროგრამების ხარისხის მხარდაჭერასა და განვითარების სტიმულირებას. არსებობს იდენტიფიცირებული ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაც მნიშვნელოვანია სისტემის განვითარებისათვის.

### 3. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება

პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებში იდენტიფიცირებული გამოწვევების დასაძლევად, მნიშვნელოვანია, შესწავლილი და გაზიარებული იქნას საერთაშორისო გამოცდილება. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი ხარისხის მართვის ერთიანი ევროპული ჩარჩოს დანერგვა.

ხარისხის მართვის ერთიან ევროპულ ჩარჩოზე (EQAVET) მუშაობა დაიწყო 2002 წ. კოპენჰაგენის პროცესის ფარგლებში და დასრულდა ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ მისი დამტკიცებით 2009 წ. ჩარჩოს მიზანია, დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს პროფესიული განათლების სისტემის მუდმივ გაუმჯობესებაში, ასევე, ხელი შეუწყოს წევრ ქვეყნებს შორის ნდობის გაზრდას, მობილობას, გამჭვირვალობას, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას, კვალიფიკაციებისა და სტუდენტთა მიერ სწავლის პროცესში მიღებული კომპეტენციების აღიარებას. წარმოდგენილი ფუნქციების შესასრულებლად ჩარჩო აერთიანებს ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივ გაუმჯობესებაზე მიმართულ ღონისძიებათა ციკლს, რომელიც შედგება 4 რგოლისაგან: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გადახედვა/გაუმჯობესება. წარმოდგენილი ციკლისთვის შემუშავებულია ხარისხის კრიტერიუმები და აღმწერები როგორც სისტემურ, ისე პროვაიდერების დონეზე და ინდიკატორები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია შეფასდეს ხარისხი.<sup>13</sup> ხარისხის უზრუნველყოფის სარეკომენდაციო ჩარჩო არაა დირექტიული ხასიათის დოკუმენტი. ის საშუალებას აძლევს წევრ ქვეყნებს, თავად აირჩიონ და გამოიყენონ ხარისხის ის კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებიც ყველაზე მეტად რელევანტურია ეროვნულ დონეზე პროფესიული განათლების სისტემისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხარისხის მართვის აღნიშნული მოდელი გაცილებით უფრო მოქნილი და მარტივია, ვიდრე ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით შექმნილი სხვა სისტემები (მაგ: ISO, EFQM), რაც აადვილებს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მის დანერგვას და გამოყენებას პრაქტიკაში.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების - ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტების განახლების პროცესში ყურადღება გამახვილდეს დასახელებული ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებაზე. ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება როგორც დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების სტიმულირება, ისე სასწავლო პროცესისა და მიღებული შედეგების მუდმივი კონტროლი, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს სისტემის განვითარებასა და გაუმჯობესებას.

საქართველოს პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მოკვლევითი და გათვალისწინებული იქნას ისეთი ქვეყნის გამოცდილებაც, რომელთანაც საქართველოს აკავშირებს საერთო ასპექტები ისტორიული, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კუთხით. ესტონეთი არის ქვეყანა, რომელიც აკმაყოფილებს დასახელებულ კრიტერიუმებს და გარდა ამისა, აქვს ის

<sup>12</sup> პროგრამული ავტორიზაციის სტანდარტი, ესტონეთი, ციტირებული დარჩია ირინე „ხარისხის უზრუნველყოფა“, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, გვ. 29, 2013.

<sup>13</sup> Recommendation of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the establishment of a European Quality Assurance Reference Framework for Vocational Education and Training (2009/C 155/01).

უპირატესობები, რომლებიც აქ მოქმედი პრაქტიკის გაზიარებისათვის ქმნის დამატებით არგუმენტაციას. ეს ფაქტორებია: ა) ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება<sup>14</sup> და ბ) კოპენჰაგენის პროცესსა და ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან ჩარჩოში მონაწილეობა. ეს უკანასკნელი ადასტურებს, რომ ესტონეთში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად და ევროპის პროფესიული საგანმანათლებლო სივრცე აღიარებს ესტონური განათლების ხარისხს.

ესტონეთში ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები მოიცავს დაწესებულების ინსტიტუციურ აკრედიტაციას<sup>15</sup> და პროგრამულ აკრედიტაციას<sup>16</sup> (აკრედიტაცია პროგრამათა ჯგუფზე). ესტონური ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებისათვის დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ აქ დოკუმენტაციასთან ერთად ფასდება საგანმანათლებლო პროცესები და განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებულ საბოლოო შედეგებზე. ასეთი ძირითადი შედეგების (ე.წ. Key Results) განსაზღვრა ხდება პროგრამის განხორციელების საწყის საფეხურზე, ბოლოს კი მიღწეული შედეგები ფასდება ისეთი ინდიკატორების გამოყენებით, როგორებიცაა: საკვალიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა სწავლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი და ა.შ. (შესაძლოა გამოყენებული იქნას სხვა ინდიკატორებიც, რომლებიც ასახავენ/ზომავენ სწავლების პროდუქტიულობას). აღნიშნული მიდგომით ყურადღება მახვილდება როგორც სწავლა/სწავლების პროცესზე, ისე მიღებულ შედეგებზე, რაც უზრუნველყოფს ხარისხობრივი მაჩვენებლების კონტროლს სწავლების განხორციელების მთელი ციკლის განმავლობაში.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ესტონეთში საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება ხდება ორი მიმართულებით, ესენია: არსებული მდგომარეობის შეფასება და განვითარების ხედვის შეფასება. არსებული მდგომარეობის შეფასების მიზანია, მიიღოს ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, ხოლო განვითარების ხედვის შეფასების მიზანია, განსაზღვროს დაწესებულების პოტენციური პროგრამების მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. განვითარების ხედვაზე აქცენტის გაკეთება წარმოადგენს დაწესებულების მდგრადი განვითარების წინაპირობასაც, რადგან მოიცავს მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დეტალურ გაწერას, შესრულებას და შესრულების შედეგების შეფასებას. ამასთან, სტრატეგიულ გეგმებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია დაწესებულების შემდგომ განვითარებაზე.

დაწესებულების შეფასებისას გადაწყვეტილება მიიღება შემდეგ სქემაზე<sup>17</sup> დაყრდნობით:

სქემა N1

არსებული მდგომარეობა	
დამაკმაყოფილებელი	არა დამაკმაყოფილებელი

<sup>14</sup> დარჩია ირინე „ხარისხის უზრუნველყოფა“, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, გვ. 5, თბილისი, 2013წ.

<sup>15</sup> Conditions and procedure for Institutional Accreditation; Estonia, 2011 [http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/IA\\_procedure\\_11.11.16.pdf](http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/IA_procedure_11.11.16.pdf)

<sup>16</sup> Procedure for accreditation of curriculum groups of vocational education and training; Estonia, 2014. Available from internet [http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/IA\\_procedure\\_11.11.16.pdf](http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/IA_procedure_11.11.16.pdf)

<sup>17</sup> Development and Implementation of a State Recognition System For Institutions of Vocational Education and Training, <http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/Accreditation-in-VET.Concept..pdf>

განვითარების ხედვა	დამაკმაყოფილებელი	მიენიჭოს აკრედიტაცია სრული ვადით 6 წელი	არ მიენიჭოს აკრედიტაცია ან მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1-3 წლის ვადით
	არა დამაკმაყოფილებელი	მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1-3 წლის ვადით	არ მიენიჭოს აკრედიტაცია

სქემა N1: აკრედიტაციის მინიჭების სქემა ესტონეთში

წარმოდგენილი სქემით ირკვევა, რომ თუ დაწესებულების როგორც არსებული მდგომარეობა, ისე განვითარების ხედვა დამაკმაყოფილებელია, მას ენიჭება სრული ავტორიზაცია 6 წლის ვადით, თუ არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო მომავლის ხედვა - არა, მაშინ დაწესებულებას ენიჭება პირობით აკრედიტაცია 3 წლის ვადით, თუ არსებული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ მომავლის ხედვა კარგია - დაწესებულებას ენიჭება პირობითი აკრედიტაცია ან არ ენიჭება აკრედიტაცია, ხოლო თუ არსებული მდგომარეობა და მომავლის ხედვა არაა დამაკმაყოფილებელი, მაშინ დაწესებულებას არ ენიჭება აკრედიტაცია.

აღნიშნული სქემის გამოყენება ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს სძენს მეტ მოქნილობას და ხელს უწყობს პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებას, ვინაიდან „აკრედიტაციის მინიჭებასა“ და „აკრედიტაციის არ მინიჭებას/ჩამორთმევას“ შორის ითვალისწინებს ლავირების შუალედურ პოზიციას - „პირობით აკრედიტაციას“. აღნიშნული მიდგომა საშუალებას აძლევს საგანმანათლებლო დაწესებულებას სფეროების და ქვესფეროების დონეზე რომელიმე კრიტერიუმის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში შეინარჩუნოს აკრედიტაცია და მიიღოს განსაზღვრული დრო დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

ამრიგად, ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის პროცესში ხარისხის ესტონური სააგენტო ავითარებს მოქნილ მიდგომას, რომელიც 3 ტიპის შესაძლებლობაზეა დაფუძნებული: პირველი - პირობითი აკრედიტაცია საშუალებას აძლევს დაწესებულებებს, ორიენტირდნენ ხარისხზე და სტანდარტებიდან მცირედი გადაცდომების მიუხედავად, მიიღონ დრო მათ გამოსასწორებლად, მეორე - ავტორიზაციის გავლა პროგრამათა ჯგუფების მიხედვით დაწესებულებებს საშუალებას აძლევს, ერთი პროგრამათა ჯგუფისთვის სტანდარტების მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სრულად კი არ დაკარგონ ავტორიზაცია, არამედ ჩამოერთვათ მხოლოდ ამ კონკრეტული პროგრამათა ჯგუფის განხორციელების უფლება და განახორციელონ სწავლება ყველა სხვა დანარჩენი პროგრამისთვის (რომლისთვისაც აკმაყოფილებენ სტანდარტებს), და მესამე - პროგრამათა ჯგუფზე ავტორიზაციის გავლა დაწესებულებას საშუალებას აძლევს, განახორციელოს ჯგუფში შემავალი ერთი რომელიმე პროგრამა (სურვილის შემთხვევაში), ხოლო ამ პროგრამათა ჯგუფში შემავალი სხვა პროგრამა/პროგრამები დაიმატოს დამატებითი ავტორიზაციის გავლის გარეშე ავტორიზაციის დარჩენილი ვადით. ასეთი მოქნილი მიდგომები მინიმუმამდე ამცირებს აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებულ სტრესს და მიმართულია ხარისხზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებისაკენ.

#### 4. დასკვნები და რეკომენდაციები

ამრიგად, მოქმედი სტანდარტების წინაშე მდგარი გამოწვევების ანალიზმა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებამ გამოკვეთა ის შინაარსობრივი საკითხები და პროცედურული მიმართულებები, რომლებიც გათვალისწინებული და გაზიარებული უნდა იქნას სტანდარტების განახლების პროცესში. კერძოდ, ავტორიზაცია/აკრედიტაციის განხორციელების პროცესთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

- „ავტორიზაციის მინიჭებასა“ და „არ მინიჭებას“ შორის შემოღებული იქნას შუალედური პოზიცია, ე.წ. „პირობითი აკრედიტაცია“, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებებს, დადგენილი სტანდარტებიდან მცირედი გადაცდომების შემთხვევაში მიიღონ წინასწარგანსაზღვრული დრო მათ გამოსასწორებლად. ასევე, ამ პრაქტიკის დანერგვა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მისცემს საშუალებას, განავითაროს უფრო მოქნილი მიდგომა დაწესებულებებთან ურთიერთობაში და შეასრულოს განვითარებაზე ორიენტირებული, მხარდამჭერი ინსტიტუციის როლი, რომელიც მიმართული იქნება ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე;
- დაინერგოს აკრედიტაციის მინიჭება პროგრამათა ჯგუფზე, რაც საშუალებას მისცემს საგანმანათლებლო დაწესებულებას, იყოს უფრო მოქნილი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში. ასეთი წესით დამატებული პროგრამებისთვის დაწესებულებას საშუალება ექნება, დაიწყოს ჯგუფში შემავალი რომელიმე პროგრამის განხორციელება დამატებითი აკრედიტაციის გავლის გარეშე მხოლოდ მაშინ, როცა მასზე გაჩნდება მოთხოვნა შრომის ბაზრის ან პოტენციურ მომხმარებელთა მხრიდან;
- დაწესებულების შეფასების პროცესში აქცენტი გაკეთდეს განვითარების ხედვაზე, რაც შექმნის ავტორიზაცია/აკრედიტაციის მთელი პერიოდის განმავლობაში დაწესებულების მდგრადი განვითარების წინაპირობას. დაწესებულების ხედვის შეფასებით მოხდება იმ სტრატეგიული ორიენტირების განსაზღვრა, რომლისკენ სწრაფვაც იქნება დაწესებულების პრიორიტეტი მომდევნო 6 წლის მანძილზე.

სტანდარტების შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

- სტანდარტებმა მოიცვას ზოგადი მენეჯმენტის საკითხები, რათა მოხდეს დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების სტიმულირება;
- სტანდარტების შინაარსში გათვალისწინებული იქნას საზოგადოებასთან/თემთან ურთიერთობის და მჭიდრო თანამშრომლობის ასპექტები, რათა პროფესიულმა განათლებამ ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას და სოციალური პარტნიორობის გაძლიერებას;
- სტანდარტებში აქცენტი გაკეთდეს როგორც დაწესებულების საწყის მზაობაზე სწავლების პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით, ისე უშუალოდ სასწავლო პროცესსა და მიღებულ შედეგებზე; ასეთი მიდგომით გაკონტროლდება სასწავლო პროცესი მთლიანობაში და მოხდება ხარისხის ზრდის სტიმულირება;
- სტანდარტები და ქვესტანდარტები იყოს ზუსტად ფორმულირებული და ადგილი არ ჰქონდეს შინაარსობრივ გადაფარვებს;
- თითოეული სტანდარტისა და ქვესტანდარტისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რათა სტანდარტების შინაარსი ერთმნიშვნელოვნად გასაგები იყოს ყველა მხარისთვის და არ იძლეოდეს დამატებითი ინტერპრეტირების საშუალებას;
- სტანდარტების შინაარსობრივ ნაწილში გათვალისწინებული იქნას დაწესებულებაში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების შეფასება, რაც დამატებით სტიმულს შექმნის ამ მექანიზმების განვითარებისათვის.

ამრიგად, წინამდებარე დოკუმენტში განხორციელებულმა ანალიზმა გამოკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რომელთა გამოყენებაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების გაუმჯობესებისათვის და რომელთა გაზიარებაც საქართველოს დაახლოებს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან ევროპულ ჩარჩოსთან პროფესიული განათლების მიმართულებით. მოქმედი სტანდარტების განახლების პროცესში ზემოთ განხილული რეკომენდაციების



გათვალისწინება გახდება პროფესიული განათლების სისტემის განვითარების წინაპირობა, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

## გამოყენებული წყაროები

- [1] დოკუმენტი: პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წწ).
- [2] Recommendation of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the establishment of a European Quality Assurance Reference Framework for Vocational Education and Training (2009/C 155/01).
- [3] სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი 2016-2020წწ.
- [4] საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/5 „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.
- [5] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წ. 4 მაისის ბრძანება N65/5 „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.
- [6] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წ. 14 სექტემბრის ბრძანება N89/5 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.
- [7] საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
- [8] საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- [9] დარჩია ი. „ხარისხის უზრუნველყოფა“, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, //განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი//, თბილისი, 2013წ.
- [10] ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში „პროფესიული განათლება საქართველოში მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები“, თბილისი, 2013წ.
- [11] ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები“, თბილისი, 2016.
- [12] ხარისხის უზრუნველყოფა და აკრედიტაცია: საბაზისო ტერმინები და დეფინიციების ლექსიკონი, UNESCO-CEPES, 2007.
- [13] Fundamentals of a common quality assurance framework (CQAF) for Vet in Europe, // Cedefop Panorama Series; 148//, 2007.
- [14] European Center for the Development of Vocational Education. “Accreditation and quality assurance in vocational education and training, Selected European approaches, 2009.
- [15] European Center for the Development of Vocational Education, Technical Working Group on Quality in VET. “An European Guide on self-assessment for VET-providers , 2003.
- [16] European Center for the Development of Vocational Education. “Relationship between quality assurance and VET certification in EU Member states, 2009.
- [17] European Network for Quality Assurance in VET “EQARF indicators”, 2009

- [18] The ESF programme “Substantive Development of Vocational Education 2008-2013”, “Development and implementation of a state recognition system for Institutions of vocational education and training”, 2010. Available from Internet <http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/Accreditation-in-VET.Concept..pdf>
- [19] Conditions and procedure for Institutional Accreditation; Estonia, 2011, Available from Internet: [http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/IA\\_procedure\\_11.11.16.pdf](http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/IA_procedure_11.11.16.pdf)
- [20] Procedure for accreditation of curriculum groups of vocational education and training; Estonia, 2014. Available from internet [http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/IA\\_procedure\\_11.11.16.pdf](http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/IA_procedure_11.11.16.pdf)
- [21] Development and Implementation of a State Recognition System For Institutions of Vocational Education and Training”, Available from Internet: <http://ekka.archimedes.ee/wp-content/uploads/Accreditation-in-VET.Concept..pdf>
- [22] Vocational Educational Institutions Act, Estonia, 2013, Available from Internet <https://www.riigiteataja.ee/en/eli/517062014003/consolide>

ვებ-გვერდები:

<http://mes.gov.ge/>

<http://eqavet.eu/gns/home.aspx>

<http://www.cedefop.europa.eu/>

<http://ekka.archimedes.ee/>